ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5067251

ნომერი: AR1765265

თარიღი : 03.08.2020

გაცემის თარიღი : 17.08.2020

გაცნობის თარიღი : 21.08.2020

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თათია დოლიძე პ/ნ 01026011785
- ს.ჩიქოვანის 24 ა

ორგანიზაცია:

- შპს შელფ ჯორჯია კოდი: 402073064

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - გაზგასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 03 აგვისტოს NAR1765265 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, N01.13.03.016.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2).

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას. აღნიშნულ ზონაში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით.

საზოგადოებრივ-საქმიან ზონა-2 (სსზ-2)-ში, გაზგასამართი სადგურის განთავსების საკითხი საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. აღნიშნულ ზონაში (სსზ-2)-ში, მომქმედი კანონმდებლობით მშენებლობისთვის, საპროექტო მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 700 კვ.მ., მინიმალური სიგანე 20 მეტრი, მინიმალური სიღრმე 30 მეტრი. (თუ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სწორკუთხა ფორმა, მის სიგანედ მიიჩნევა საზოგადოებრივი სივრცის/ქუჩის მხარე საზღვრების გაბარიტული ზომა, რომლის მიმართ მართობული ზომა მიიჩნევა მის სიღრმედ.)

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს თრელიგორების არქეოლოგიური უბნის შეზღუდვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე საპროექტო სამუშაოები საჭიროებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანხმობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან საპროექტო მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს ფუნქციური ზონისთვის (სსზ–2) დადგენილ ნორმებს, (ნაკვეთის სიღრმით), ასევე გაზგასამართი სადგურის მშენებლობა საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2020 წლის 03 აგვისტოს NAR1765265 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.